ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №144

2016 წ. "12" 12.

ქ.თბილისი

შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა - კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარებში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა - კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 205083112) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.
2. შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა - კოლეჯს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა - კოლეჯს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 215-ით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 70-ით.
4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 12 დეკემბრის №23 სხდომის ოქმის მესამე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

5.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
გრიგოლ მურღულია

მდივანი
თამარ ფხალაძე

დანართი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	III	ოფის-მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო, არომატული)	III	მცენარეების დამამზადებლის (სამკურნალო, არომატული) III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	36
3	კბილის ტექნიკოსი	III	კბილის ტექნიკოსის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
4	ინტერნეტ-ტექნოლოგი	III	ინტერნეტ-ტექნოლოგის (ვებ-სპეციალისტი) III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60